


# სამომავლოებაში მაუწყებლის 2021 წლის


მსადავ კვარტლის ანგარიში



1TV.GE



# პირველი არხი - უყურა და უსმინა ქართულს



# მნიშვნელოვანი სიახლეები/აქტივობები

## ● ახალი საომონი

საქართველოს პირველმა არხმა 6 სექტემბერს ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყო

 <https://3c5.com/vVCKG>



## ● პირველი არხი ყვდიასთვის

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი საეთერო სეზონის კონცეფციაა.

 <https://3c5.com/YDawX>



## ● ვებპორტალი elections.1tv.ge

2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა ოფიციალური ვებგვერდისა - [1tv.ge](http://1tv.ge), მუდმივად თავსდება და სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზე „[არჩევნები 2021](http://არჩევნები2021)“, ასევე სპეციალურად შექმნილ ვებპორტალზე - [election.1tv.ge](http://election.1tv.ge)



## ● უეთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრა

თინათინ ბერძენიშვილი უეთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

 <https://bit.ly/3B8CvLJ>



## ● მოამბის ახალი შეფუთვა

„მოამბის“ ახალ შეფუთვაზე ემის ჯილდოს მფლობელმა, კომპანია Ultra Graphics-ის კრეატიულმა დირექტორმა ჯიმს ჯექსონმა იმუშავა. მას მაუწყებლობის მენეჯმენტსა და დიზაინის სფეროში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. საინფორმაციო პროგრამების შეფუთვის მიმართულებით კი თანამშრომლობდა ისეთ მედიაკომპანიებთან, როგორცაა: CBS და NBC.



## ● სპორტული გაფხული პირველ არხზე

საანგარიშო პერიოდი დატვირთული იყო მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებებით. სპორტის მოყვარულებმა იხილეს „UEFA 2020“ და ტოკოს ოლიმპიადა.

## ● ტოკიო 2020

ოლიმპიადის პირდაპირ რეპორტაჟებს საქართველოს პირველი არხი და ტელესკოლა უწყვეტ რეჟიმში სთავაზობდა მაყურებელს.

 <https://bit.ly/3jd8JOr>



## ● **ტოკიო 2020 - პარალიმპიადა**

პირველად საქართველოში, 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს პირველი არხის მაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა ტოკიო 2020 - პარალიმპიადისთვის.



<https://bit.ly/2WwXF6F>

პირველი არხისთვის პრიორიტეტულია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მხარდაჭერა. პარალიმპიადის შესყიდვა და ტრანსლირება უმნიშვნელოვანესი გზავნილია უკეთესი, ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის.

## ● **EBU-ს გენერალური ასამბლეა**

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი ევროპის მაუნცებელთა კავშირის (EBU) გენერალური ასამბლეის ფარგლებში სპეციალურ სესიაზე სიტყვით გამოვიდა.

<https://3c5.com/jRbjB>

## ● **საზოგადოებრივი მაუნცებელი გამოცემაში DTI PLAYBOOK**

EBU-ს გამოცემაში PLAYBOOK საზოგადოებრივი მაუნცებელი სწრაფი ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებულ მაგალითად არის შეფასებული.

<https://bit.ly/3AcLaLv>

## ● **ფილმის „გიორგი ანწუხელიძე“ პრემიერა**

ფილმის „გიორგი ანწუხელიძე“ პრემიერა საქართველოს პირველ არხზე 8 აგვისტოს შედგა.

<https://bit.ly/2WBU7jJ>



## ● წარმატება ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე

პირველი არხის თანადაფინანსებით შექმნილმა ფილმმა „სამზადისი“ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

<https://bit.ly/3FeHJYu>



## ● ჟესტური ენის საერთაშორისო დღე

საზოგადოებრივი მაუწყებელი ყრუთა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჟესტური ენის საერთაშორისო დღის აღნიშვნას სხვადასხვა აქტივობით შეუერთდა.

<https://bit.ly/3uAXDdl>

## ● კამპანია მართობელა, მიუსაფარი და მრავალშვილიანი ეძებინ დასახმარებლად

საქართველოს პირველი არხი „საზოგადოების განვითარების ცენტრის“ კამპანიას შეუერთდა

<https://bit.ly/3rLk3og>

## ● თანამშრომლობის მემორანდუმი მახინჯრებათა ეროვნულ აკადემიასთან


საზოგადოებრივ მაუწყებელსა და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

<https://bit.ly/3jgf5vW>

## ● თანამშრომლების 70 % ვაქცინირებულია

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების 70 პროცენტი კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით არის აცრილი.

<https://bit.ly/3yCwJjq>



# გაქვეყნებულია - ტელე/რადიო/ონლაინ

## ახალი და მიმდინარე ამბები



### ახალი სეზონი

6 სექტემბერს **საქართველოს პირველმა არხმა** ახალი სეზონი დაიწყო. ეთერში დაბრუნდა არსებული გადაცემები განახლებული ფორმატებით, სტუდიებით, მრავალფეროვანი რუბრიკებით და თემებით.

განახლებული სეზონით დაბრუნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზოლის გადაცემები. „მოამბეს“ დაემატა 18:00-საათიანი გამოშვების ახალი ფორმატი, რომელიც სტუდიაში სტუმრის ბლოკს ითვალისწინებს.

„მოამბის“ ახალ შეფუთვაზე ემის ჯილდოს მფლობელმა, კომპანია Ultra Graphics-ის კრეატიულმა დირექტორმა ჯემს ჯექსონმა იმუშავა. მას მაუნყებლობის მენეჯმენტსა და დიზაინის სფეროში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. საინფორმაციო პროგრამების შეფუთვის მიმართულებით კი თანამშრომლობდა ისეთ მედიაკომპანიებთან, როგორცაა: CBS და NBC.

ახალი სეზონიდან ყოველ შაბათს, 21:00 საათზე ეთერშია „აქტუალური შაბათი - მაკა ცინცაძესთან ერთად“. მაყურებელს შეუძლია იხილოს დღის, თუ კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი თემის შესახებ მომზადებული რეპორტაჟები, სხვადასხვა მხარის შეფასებები და პოზიცია.

გადაცემა „დღის თემა“ კვირაში ორჯერ, ორშაბათს და ხუთშაბათს 22:00 საათზე გადის ეთერში. გადაცემის წამყვანი თამთა სანიკიძე სტუმრებთან ერთად დღის მთავარ თემას განიხილავს. მაყურებელს საშუალება აქვს მიმდინარე თემებზე მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, მოისმინოს მხარეების არგუმენტები და შეფასებები.


12 სექტემბრიდან ახალ სეზონი დაიწყო გადაცემამ „ახალი კვირა“. წელს გადაცემაში განსაკუთრებულად არის აქცენტირებული საგამოძიებო ჟურნალისტიკის კომპონენტი, რომელიც საერთაშორისო და მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების სრული დაცვით მზადდება.

„თავისუფალი ხედვა“ 7 სექტემბრიდან განახლდა. გადაცემა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების და კვირის მთავარი მოვლენების განხილვას ეთმობა.

„42° პარალელი“ წარმოგვიდგენს იმ საერთაშორისო მოვლენების ანალიზს, რომლებიც გლობალურ თუ რეგიონულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებს ქმნის. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, ასევე, მოვლენებს, რომლებიც ამ პროცესებზე გავლენას ახდენს.

ყოველ შაბათს 14:00 საათზე ეთერშია, „საფეხბურთო ტაიმაუტი“ ვლადიმერ გუცაევთან და გიორგი თვალაბეიშვილთან ერთად.

გადაცემა „ბიზნესპარტნიორი“ განახლებული დროით, ყოველ სამუშაო დღეს 12:30 საათზე გადის ეთერში.



საანგარიში პერიოდში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური.

**პირველმა არხმა** პარტიებს სატელევიზიო და რადიო ეთერი შესთავაზა. ცესკო-ს მიერ დარეგისტრირებულ ყველა კვალიფიციურ პარტიას მიეცა თანაბარი ეთერი, როგორც საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გაშუქდა საარჩევნო სუბიექტების (როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური) ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა, მათი საარჩევნო პროგრამები და პოზიციები, გამოშვებებს ახლდა სურდოთარგმანი და მთავარი გამოშვება ხელმისაწვდომი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (ენის რეჟიმის მართვა შესაძლებელია სეტ ტოპ ბოქსის საშუალებით).



კვალიფიციურ სუბიექტებს, ასევე, დაეთმო რადიოეთერი. 7 სექტემბრიდან - 30 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, „საქართველოს რადიოს“ გადაცემებში „ღია სტუდია“ (14:00-14:25) 13 კვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო 10-10 წუთი. ამ დროის განმავლობაში პარტიებს საშუალება ჰქონდათ საარჩევნო პროგრამა გაეცნოთ ამომრჩევლებისთვის. 10 წუთიანი ბლოკი გულისხმობდა პროგრამის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციას და კითხვებზე პასუხს საარჩევნო პროგრამასთან დაკავშირებით.

არჩევნების გაშუქების ფარგლებში, **პირველმა არხმა**, საარჩევნო სუბიექტებსა და ამომრჩევლებს, ასევე, შესთავაზა დებატები. 14 სექტემბერს, 22:00 საათზე, დებატები გაიმართა არჩევნებში მონაწილე [კვალიფიციურ სუბიექტებს შორის](#), სადაც მონაწილეობისთვის სპიკერები თავად პარტიებმა განსაზღვრეს. 21 სექტემბერს, 22:00 საათზე კი დებატები შედგა თბილისის [მერობის ყველა კანდიდატს შორის](#).

დებატები უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანით, **საქართველოს პირველი არხი** უზრუნველყოფდა დებატების თარგმნას აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ასევე, ის გადაიყვანა **საქართველოს რადიოს** ეთერით.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სპეციალური პორტალი [elections.itv.ge](http://elections.itv.ge) შეიქმნა, რომელიც არჩევნების თაობაზე საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო ყველა ინფორმაციას აერთიანებს.

პორტალზე ხელმისაწვდომი იყო ყველა ახალი ამბავი, რომელიც არჩევნებს ეხებოდა, **პირველი არხის** საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, რომლებიც



წინასაარჩევნო პერიოდს აშუქებდა. ასევე, მიმდინარეობდა გამოკითხვა ლაივ რეჟიმში, რაც ამომრჩეველთა აქტივობის გაზომვას ისახავდა მიზნად.

პორტალზე, ასევე, შესაძლებელი იყო „დებატები 2021“-ში მონაწილეებისათვის კითხვების დასმა. ეს კითხვები უშუალოდ დებატების მიმდინარეობისას გაჟღერდა პირდაპირ ეთერში.

გვერდზე პერმანენტულად ქვეყნდებოდა **პირველი არხის** (სატელევიზიო, რადიო, ონლაინ) მონიტორინგის შედეგები, თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ყოველკვირეული ინფორმაცია და სარეკლამო დროის მონიტორინგის ნუსხა.

**საქართველოს პირველი არხისა და საქართველოს რადიოს** საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მედია მონიტორინგის ცალკეული კომპონენტები ქვეყნდებოდა პერმანენტულად, მონიტორინგის მიმდინარეობის პარალელურად, მთლიანი ანგარიში კი საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება.

## **პირველი არხის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები**

პირველმა არხმა 13 აგვისტოდან - 13 სექტემბრამდე ჩატარებული წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. <https://bit.ly/3D4aeGo>

მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო მონიტორინგის წარმოება, პირველ რიგში, ხაზს უსვამს პოლარიზებული პოლიტიკური და მედიაგარემოს პირობებში მიუკერძოებელი და დაბალანსებული გაშუქების აუცილებლობას.

## **სადამკვირვებლო მისიებისა და მონიტორინგის შეფასება**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეუთო/ოდირის შეფასება, რომელიც **პირველმა არხმა** არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით მიიღო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიებს მეტ შესაძლებლობას სთავაზობს უფრო თანაბარი პირობებით, ვიდრე სხვები, ეს გამოჩნდა ჩვენი მედია მონიტორინგის პერიოდში, - ამის შესახებ ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ალბერტ იონსონმა განაცხადა. მისივე თქმით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა საარჩევნო სუბიექტს სამართლიანად დაუთმო საეთერო დრო.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს განსაკუთრებული ადგილი სხვა კერძო მაუწყებლებთან შედარებით და ჩვენ ეს დავინახეთ საარჩევნო კამპანიის დროს. საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიებს მეტ შესაძლებლობას სთავაზობს უფრო თანაბარი პირობებით, ვიდრე სხვები და ეს გამოჩნდა ჩვენი გუნდის მიერ მედია მონიტორინგის პერიოდში. მათ ყველას სამართლიანად დაუთმეს საეთერო

დრო. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა დებატები, სადაც ყველა პარტიას ჰქონდა მონაწილეობის საშუალება და ვნახეთ, რომ ერთმა სტუმარმა საკუთარი ნებით დატოვა დებატები. ეს გამოგარჩევთ თქვენ, საზოგადოებრივ მაუწყებელს სხვებისგან. ამავე დროს, მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბევრჯერ გაბუქდა მთავრობის ახალი ამბები და არ იყო მკაფიო გამყოფი ხაზი - მინისტრების საქმიანობა იყო, მთავრობის საქმიანობა თუ საარჩევნო საქმიანობა. ინსტიტუციონალური და საარჩევნო კამპანიის როლებს შორის მკაფიო განსხვავება არ ჩანდა“, - განაცხადა ალბერტ იონსონმა.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ევროკავშირის და გაერო-ს განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში.

სამთვიანი მონიტორინგის შემდეგ **ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია** წინასწარ დასკვნაში წერს, რომ პოლარიზაციის ხარისხი სატელევიზიო მედიაში მარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაზრდილია. ანგარიში როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგებს მოიცავს და აფასებს, რომელი ტელევიზიები რა ტონით აშუქებდნენ პოლიტიკურ სუბიექტებს და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

**პირველ არხთან** დაკავშირებით აღნიშნულია, რომ გაბუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს სხვა ეროვნული მაუწყებლებისგან მნიშვნელოვნად განასხვავებს. თუმცა შესავალ ნაწილში მითითებულ შენიშვნებში ნათქვამია, რომ **პირველი არხი** ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ინარჩუნებს. ამ შეფასებას **საქართველოს პირველი არხი** არ იზიარებს და გეგმავს, რომ გამოქვეყნებულ ანგარიშზე საკუთარი მოსაზრება ევროკავშირს და გაერო-ს განვითარების ფონდს მისწეროს. ამავე დროს, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ წინასწარ დასკვნაში მოყვანილი პოზიციები ევროკავშირის და გაერო-ს განვითარების ფონდის მოსაზრებად არ უნდა იყოს აღქმული.

## თავდასხმა ბაღამღებ ჭეუფზე

საანგარიშო პერიოდში [პირველი არხის გადამღები ჭეუფი კვლავ გახდა თავდასხმის მსხვერპლი.](#)

5 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა განახორციელეს ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი და აგრესიული ქმედებები ჟურნალისტების მიმართ. დაშავდა **საქართველოს პირველი არხის** ოპერატორი ილია თვალთაშვილი, რომელიც კლინიკაში გადაიყვანეს. ამასთან, დაზიანებულია მაუწყებლის კუთვნილი აპარატურა.

აქციაზე, ასევე, დაშავდნენ სხვა მედიასაშუალებების გადამღები ჭეუფები.

**საქართველოს პირველი არხი** გამოხს მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებულ ძალადობას



და მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას. საზოგადოებრივი მაუწყებელი მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ მედიისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო, რაც აუცილებელია საზოგადოების სრულფასოვნად ინფორმირებისთვის.

## **EBU-ს და პირველი არხის ტრენინგების სერია**

საზოგადოებრივი მაუწყებელი და EBU-ს რეგიონული აკადემია **პირველი არხის** ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ტრენინგების სერიას აგრძელებდნენ.

რეგიონული სასწავლო ცენტრი ევროპის მაუწყებელთა კავშირთან ერთად დაარსდა. სასწავლო კურსს მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების პრაქტიკოსი მედიამენეჯერები მართავენ. EBU-ს რეგიონული აკადემია უმნიშვნელოვანესია პირველი არხისთვის, რადგან მედია ეკოსისტემაში საზოგადოებრივი მაუწყებელი მალაღობრივ სტანდარტით გამოირჩევა.



ტრენინგები მაისში დაიწყო და აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდა.

## **პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“**

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს ყოველდღიურად 4 საინფორმაციო გამოშვებას როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენაზე. აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ტრანსლაცია ხდება შესაბამისი ონლაინ პლატფორმებით, ასევე, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების საშუალებით.

## **„მოამბის“ სინქრონული თარგმანი**

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სინქრონული თარგმანი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.


„მოამბის“ სინქრონული თარგმანის სექტორებში გავრცელების პარალელურად, კონტენტი თავსდება ონლაინ პლატფორმებზე - პირველი არხის ვებ-გვერდის შესაბამის ენობრივ განყოფილებებში და ქვემოთ მითითებულ ფეისბუქ გვერდებზე:

პირველი არხი აზერბაიჯანულად - <https://www.facebook.com/BirinciKanal>

პირველი არხი სომხურად - <https://www.facebook.com/1tv.arajinalik/>

2021 წლის მესამე კვარტალი დაეთმო საშემოდგომო სეზონისთვის მზადებას. ამ პერიოდში ჩაიწერა პროექტები:

- აბიტურიენტის დრო (10 ეპიზოდი, 10 წთ. ქრონომეტრაჟით), რომელიც საქართველოს ეროვნულ საგამოცდო ცენტრთან ერთად მომზადდა. აღნიშნული ლექციების ციკლს აბიტურიენტებისათვის უძღვებოდნენ თავად საგამოცდო ცენტრის პროფესორები და პრაქტიკულ, მნიშვნელოვან რჩევებს აძლევდნენ აბიტურიენტებს, რაც წინასაგამოცდო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების პროცესში;
- პროექტის „ჩვენი საქართველო“ ფარგლებში, 2021 წლის მესამე კვარტალი დაეთმო ვასილ მაღალფრიდის საავტორო დოკუმენტური სერიალის - „მოგზაურობა ისტორიაში; აბრეშუმის გზის კავკასიური მაგისტრალი“ (10 სერია; 30 წთ. ქრონომეტრაჟით) გადაღებებს;
- პროექტის „ინგლისური ყველასთვის“ ფარგლებში, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „English book education“-თან პარტნიორობით ხორციელდება, მომზადდა ინგლისურის გაკვეთილები (80 ეპიზოდი, 20-25 წთ. ქრონომეტრაჟით), რომლის მიზანია ინგლისურის სწავლა ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის.
- ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა მცირეფორმატიანი ვიდეოების ციკლი „ინგლისური 1 ნუთში“ (400 ვიდეო; 1 წთ. ქრონომეტრაჟით). აღნიშნული ვიდეოები მოკლედ და ლაკონურად გვასწავლიან ინგლისურ ენას სხვადასხვა მიმართულებით: ლექსიკა, გრამატიკა, სლენგი, ფრაზული ზმნები და ა.შ;
- ჩაიწერა „ქართული შესტური ენის გაკვეთილები“ (20 ეპიზოდი; 10-12 წთ. ქრონომეტრაჟით) - რომელიც ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და რომლის მიზანია მარტივად და სახალისოდ ასწავლოს მაყურებელს შესტური ენა, რათა სპეციალური საჭიროების მქონე ჩვენმა მეგობრებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ;
- მომზადდა ქართული ენის გაკვეთილები არაქართულენოვანი სკოლებისთვის ( 80 ეპიზოდი; 15-25 წთ. ქრონომეტრაჟით). აღნიშნული პროექტი, კვლავ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ენის შესწავლას.





- „როგორ გავაკეთოთ“ (8 ეპიზოდი 10წთ. ქრონომეტრაჟით) - აღნიშნული პროექტი მომზადდა სტუდია „ლუთორთან“ ერთად. პროექტის მიზანია ბავშვებში კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნების წახალისება;
- „რჩევები მშობლებს“ (8 ეპიზოდი; 20-25 წუთიანი ქრონომეტრაჟით) - განხორციელდა განათლების კოალიციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. აღნიშნული პროექტის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ხელშეწყობა და საჭირო რჩევების/რეკომენდაციების მომზადება მშობლებისთვის.

ასევე, 2021 წლის მესამე კვარტალში, პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მომზადდა ორი ახალგაზრდული პროექტის „წითელი სკამი“ და „Z თაობა“ საპილოტე ვერსიები.



## “რანინას” ახალი სეზონი

საბავშვო მუსიკალური შოუ “რანინას,” მეოთხე სეზონის ჩანერები დასრულდა და სექტემბრის თვიდან წარმატებით მიმდინარეობს პირველი არხის ეთერში. პროექტის ფინალურ გადაცემაში გამოვლინდება მეოთხე სეზონის გამარჯვებული და საქართველოს წარმომადგენელი 2021 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.



## “მასტერშოუს” ახალი სეზონი

2021 წლის სექტემბერში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო კულინარიული მეგა შოუს მეექვსე სეზონმა.

## “მავალი” ახალი სეზონი

2021 წლის სექტემბრის თვეში ეთერში გავიდა სერიალის მესამე სეზონი.

## „იდეალური დედა“ ახალი სეზონი

2021 წლის სექტემბერში, პირველი არხის ეთერში გავიდა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი სერიალის “იდეალური დედა,” კიდევ ერთი სეზონი, ძველი და ახალი გმირებითა და მათი საინტერესო ისტორიებით.

## „მარკ თენა საქართველო“

2021 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე იქნა მიღებული გადამწყვეტილება, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო პროექტის, „მარკ თენა“, ლიცენზიის შექმნისა და წარმოების შესახებ. პროექტის გადაღებების ეტაპი დასრულდა აგვისტოში, მიმდინარეობს მონტაჟის ეტაპი და პროექტი ეთერში განთავსდება 2021 წლის 10 ნოემბრიდან.

პროექტის ფარგლებში პოტენციურ აპლიკანტებთან რეგიონებში [საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.](#)

## „წიგნების თარო“ სასკოლო, „წიგნების თარო“ სტუდენტური - ახალი სეზონი

საგანმანათლებლო პროექტის 13 გამარჯვებული მონაწილე გაემგზავრა კემბრიჯში, რაც გახლავთ პროექტის ჯილდო. აგვისტოს თვეში მოხდა პროექტის დეკორაციის განახლება და 22 ოქტომბრიდან ეთერში შევიდა „წიგნების თარო“ სტუდენტური და 25 ოქტომბრიდან „წიგნების თარო“ სასკოლო.

## „რა სად როდის“ - ახალი სეზონი

სექტემბრის თვეში პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო გადაცემის საშემოდგომო სეზონმა და პირველი თამაშის ფარგლებში მაყურებელი შეხვდა ინტელექტუალური კლუბის ახალ გუნდს, რომელიც დაკომპლექტდა პირველი არხის თანამშრომლებისგან.

## „მარტივი ლოგიკა“ - ახალი სეზონი

საერთაშორისო ლიცენზირებული პროექტი „მარტივი ლოგიკა“ გავიდა სექტემბრის თვეში პირველი არხის ეთერში განახლებული დეკორაციითა და შეფუთვით.

## „მუსიკის 12 მოციქული“

დავით ევგენიძის საავტორო გადაცემა „12 მოციქულის“ ფარგლებში, პირველმა არხმა გამოაცხადა საავტორო სიმღერის კონკურსი და 7 საუკეთესო სიმღერის პრემიერა სულ მალე შედგება ეთერში.

## „დოსიკა“ - ახალი სეზონი

ჰაატა ქურდაძის საავტორო გადაცემა „დოსიკა“ ახალი სეზონის ფორმატს დაემატა სტუმრის ბლოკი, სადაც მაყურებელი მოისმენს წარმოდგენილი ფილმის გარჩევას საინტერესო სტუმრებთან ერთად.

## „ფარმა“

გადაცემას ყავს ახალი წამყვანი, გიორგი ტატანაშვილი. რომელიც რამდენიმე ეტაპიანი შესარჩევი კონკურსის შედეგად გამოვლინდა.



## „რეალური სივრცე“

ყოველკვირეული სოციალური თოქ შოუ ეთერში გავიდა განახლებული სტუდიით.



## „ტაიმ აუტი“ და „საფეხბურთო ტაიმაუტი“

ყოველდღიურ სპორტულ გადაცემა „ტაიმ აუტს“ შეეცვალა საეთერო დრო, პროექტმა გადაინაცვლა საღამოს ეთერში და ასევე დაემატა ახალი წამყვანი - ქეთი ხატიაშვილი. „საფეხბურთო ტაიმაუტი“ ეთერშია ყოველ შაბათს, 14:00 საათზე, ვლადიმერ გუცაევთან და გიორგი თვალაბეიშვილთან ერთად.



## 12 აპიზოდიანი სერიალი

„აზულუმ პროდაქშენთან“ ერთად დაიგეგმა 12 სერიანი დეტექტიური ჟანრის სერიალის გადაღება. პროექტი სცენარის წერის ფაზაში იმყოფება.



## ტელეფილმები

### ფილმი „გიორგი ანწუხელიძე“


2021 წლის 8 აგვისტოს დასრულდა და ეთერში გავიდა რეჟისორ შალვა შენგელისა და სცენარის ავტორის ნინო ჩუტკერაშვილის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი „ანწუხელიძის გმირობა“. ფილმი მოგვითხრობს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის შესახებ, მის ოჯახზე და თავდადებაზე. სატელევიზიო ფილმის პრემიერის ფარგლებში, კოვიდრეგულაციების დაცვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოში მოეწყო ღია ჩვენება - პრემიერა გიორგი ანწუხელიძის ოჯახის წევრების, კოლეგებისა და დაინტერესებული მაყურებლისთვის.

### პროექტი „უნივერსიტეტის დამფუძნებლები“

2021 წლის აგვისტოს ბოლოს დასრულდა პროექტი „უნივერსიტეტის დამფუძნებლები“ ფარგლებში შექმნილი მორიგი დოკუმენტური ფილმი „ანდრია რაზმაძე“. ფილმის რეჟისორია ბესიკ გაფრინდაშვილი, სცენარის ავტორი აჩიკო შუბაშვილი, მთხრობელი მერაბ კოკოჩიაშვილი.

## პროექტი „ტელედოკი“

ახალი სეზონიდან, ყოველ შაბათს, საღამოს 8 საათზე, ეთერში გადის მაუწყებლის ახალი პროექტი „ტელედოკი“. ყოველკვირეული დოკუმენტური ჩანახატი (ფილმი, რეპორტაჟი, მოზრდილი სიუჟეტი) ადამიანებზე, რომლებიც აქტუალურ და საინტერესო საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ და/ან სოციალურ ცხოვრებაში არიან ჩართულები; მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე, პრობლემებზე, ფიქრებზე, ოცნებებსა და იდეალებზე.



საინტერესო გმირების გარდა, ამ ჩანახატებმა უნდა შემოგვინახოს ეპოქის ატმოსფერო, გვაგრძნობინოს მიმდინარე ისტორიული კონტექსტი, განწყობა, დროის „სურნელი“. თითოეული ჩანახატი იქნება ჩვენი დროის უტყუარი დოკუმენტი და ერთგვარი მასალა, ან იმპულსი მომავალი დოკუმენტური და მხატვრული ფილმებისთვის, ისტორიული თუ სოციალური კვლევებისთვის და ა.შ.

ჩანახატების თემატიკა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი კორპორაციული და პოლიტიკური შემადგენლისაგან, არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ განცხადებებს, საეჭვო ინტერპრეტაციებსა და დასკვნებს.

პროექტის ფარგლებში 11 სექტემბერს ეთერში გავიდა „მწვანე კუნძულზე კვირა დღეს“ - ავტორი და რეჟისორი ნიკა მარი;

18 სექტემბერს - „რას ხედავ ალექო?“ - ავტორი და რეჟისორი სანდრო ნავერიანი;  
25 სექტემბერს - „ორი ძმა“ - ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი ნათია არაბული - ვეგერი.

Biaff-ის ინდუსტრიულ პლატფორმაზე „ალტერნატიული ტალღა“ გაიმართა პროექტ „ტელედოკის“ პრეზენტაცია.

## ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით შექმნილი სამი ფილმი იქნა წარდგენილი.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ნომერი 26“, რომლის პროექტიც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის 2019 წლის კონკურსის გამარჯვებულია და კინოცენტრის და პირველი არხის თანადაფინანსებით შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული შვიდი მოკლემეტრაჟიანი ფილმი დააფინანსა. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი გვანცა მეფარიშვილია.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე ასევე წარდგენილი იყო პირველი არხის და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი

პროექტის „დებიუტი“ ფარგლებში შექმნილი ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თანაგრძნობა“ - რეჟისორი ზვიად ციკოლია და „სამზადისი“ - რეჟისორი ილია ასიტაშვილი.

სამივე მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება 23 სექტემბერს კინოთეატრ „აპოლოში“ შედგა.

ამასთან, მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „სამზადისი“ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

გრძელდება პროექტები:

- დოკუმენტური ფილმი „ქართველი მოდერნისტები“ - რეჟისორი ანდროკიაურელი, სცენარის ავტორი ნანა ყიფიანი, მიხეილ ბასილაძე;
- დოკუმენტური ფილმი „დრო აღარ ითმენს (აჭარის დაბრუნება)“ - რეჟისორი შალვა შენგელი, სცენარის ავტორი: ნინო ნატროშვილი;
- კომპანია „შვიდკაცა+“-თან ერთად, მიმდინარეობს ერთობლივი თანაწარმოების, 5 სერიანი მხატვრული ფილმის, პროექტის „იუნკრები“ მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები. რეჟისორი გიორგი ბარაბაძე, სცენარის ავტორები გიორგი ბარაბაძე, კოტე ჯანდიერი.

## საქართველოს რადიო

სექტემბრიდან ახალ სამაუწყებლო სეზონი დაიწყო [საქართველოს რადიომ](#). სექტემბრიდან ახალი ამბები კვლავ ყოველ ნახევარ საათში გადის ეთერში.

„პოდკასტი - შენი აუდიოსივრცე“

EBU-ს მხარდაჭერით მომზადდა პოდკასტების სერია და ის უკვე ხელმისაწვდომია პლატფორმაზე [www.itvpodcast.ge](http://www.itvpodcast.ge)

გენდერული ბალანსის დასაცავად საქართველოს პირველი არხი [„ბიბისი“-სთან თანამშრომლობას იწყებს](#).


„ბიბისისთან“ ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, აღნიშნული პროექტი საქართველოს პირველ არხზე რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდება. პროექტი „50:50“ მონაცემთა შეგროვების, გაზომვის, დამუშავების და შემდგომ დაგეგმვის საშუალებით უზრუნველყოფს მაუწყებლის კონტენტში ქალების და კაცების სამართლიან რეპრეზენტაციას და გენდერული ბალანსის საუკეთესო შესაძლო მაჩვენებლის მიღწევას.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროექტის განხორციელება პირველ ეტაპზე საქართველოს რადიოში დაიწყო, იგივე მეთოდოლოგიით, რომელსაც თავად პროექტი „50:50“ იყენებს. მოიცავს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, გაზომვის ინდიკატორები არის აბსოლუტურად ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკა, რომლის ანალიზიც ხორციელდება პერიოდულად და საშუალებას იძლევა სარედაქციო დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს გენდერული თვალსაზრისით სტუმრების გადანაწილება.

ამ დროისთვის მონაცემები ასე გამოიყურება:

როგორც დიაგრამაში ჩანს, აღნიშნული მონაცემების დათვლა და ანალიზი

### გენდერული ბალანსი რადიოეთარში



პერმანენტული მონიტორინგის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს გადაცემებში სტუმრების გენდერულად თანაბარ წარმოდგენას, ხელს უწყობს ქალების ან კაცების წარმომადგენელთა ისეთი თემების გაშუქებისას, რომლებიც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების საფუძველზე არის მიკუთვნებული რომელიმე სქესისთვის დამახასიათებელ კომპეტენციად.

## ონლაინ მედია

საქართველოს პირველი არხის ონლაინმედის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - Itv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

მიმდინარეობს Itv.ge-ის ტექნიკური განახლება, დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციონალი.

დასრულდა არჩევნები 2021-ის ვებგვერდის ტექნიკური სამუშაოები. აქტიურად იდება - სიახლეები, ვიდეოები, დოკუმენტები.

აპლიკაცია Mobile TV-ის დაემატა LIVE ფუნქცია.

ონლაინმომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

### საიტის ITV.GE სტატისტიკა

III კვარტალი 2021	II კვარტალი 2021
ვიზიტი საიტზე - 8,472,732	ვიზიტი საიტზე - 8,887,635
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 72,900	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 77,000
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 84,700	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 98,000
<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 194,400 (08/16/2021)</b>	<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 180,300 (04/09/2021)</b>

### YouTube სტატისტიკა



III კვარტალი 2021	II კვარტალი 2021
ნახვა - 29,700,000	ნახვა - 48,900,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 323,000	საშუალოდ დღეში ნახვა - 537,000
<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 606,000 (28 ივლისი 2021)</b>	<b>მაქსიმალური მაჩვენებელი - 723,000 (11 აპრილი 2021)</b>

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

# ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 49,7 მილიონი  
 წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები მომატებულია 118%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 2,500,000 -  
 წინა სამ თვესთან შედარებით მომატებულია 101%-ით



# რატარებული კვლევები

2021 წლის დეკემბრის ჩათვლით, დაგეგმილია შემდეგი კვლევების ჩატარება:

- სატელევიზიო ბაზრის კვლევა;
- ტელეაუდიტორიის კვლევა;
- ინტერნეტაუდიტორიის კვლევა;
- რადიოაუდიტორიის კვლევა;
- აუდიტორიის სეგმენტაცია;
- საიმიჯო კვლევა.

## მესამე კვარტალში რატარებული კვლევები:

თვისობრივი კვლევა „Video on Demand“ სამომხმარებლო ქცევა, აღქმა, დამოკიდებულება. (2021, აგვისტო)

- კვლევის მიზანი: ახალი VOD პლატფორმის პროტოტიპის შექმნისთვის საბაზისო საკითხების კვლევა.
- კვლევის ამოცანები:
  - VOD პლატფორმების სამომხმარებლო კონცეფცია;
  - VOD პლატფორმების მოხმარების გამოცდილება;
  - VOD პლატფორმებზე კონტენტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები;
  - VOD პლატფორმის მიმზიდველი დიზაინის ძირითადი მახასიათებლები;
  - ადგილობრივი VOD პლატფორმების დეფიციტები, სამომხმარებლო უკმაყოფილების დეტერმინანტები.
- კვლევის მეთოდი: თვისობრივი კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მეთოდით (4 IDI; 2 FGD)
- ჯგუფის კომპოზიცია: თითოეულ ჯგუფზე წარმოდგენილი 6 რესპონდენტიდან მინიმუმ 1 იყო, ნეტფლიქსის ფასიანი პაკეტის გამომწერი, დანარჩენი ჯგუფის წევრები ქართული VOD პლატფორმების რეგულარული მომხმარებლები.
- ჩაღრმავებული საექსპერტო ინტერვიუსთვის შერჩეული 4 კანდიდატიდან ყველა იყო ნეტფლიქსის ფასიანი პაკეტის გამომწერი.
- სქესი: შერეული
- რესპოდენტთა ასაკი: 20-45 წელი

დაიგეგმა აუდიტორიის სეგმენტაციის კვლევა, ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად: შემუშავდა მეთოდი, მომზადდა ანკეტის დიზაინი, ჩამოყალიბდა კითხვარი, თუმცა ქვეყანაში არსებული კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევის გადადება გარკვეული დროით.

## **მაუწყებლის პლატფორმებზე გაშუქებული ინფორმაციის მონიტორინგი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმებზე გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მესამე კვარტალში გრძელდებოდა გაშუქებული თემების მონიტორინგის უწყვეტი პროცესი. სამუშაო მოიცავდა მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების მონიტორინგს რაოდენობრივი კომპონენტებისა და მონვეული/ გაშუქებული სუბიექტების აღრიცხვით.

მესამე კვარტალში მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების შიდა მონიტორინგი. მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა და გამოქვეყნდა წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში [„საარჩევნო სუბიექტების გაშუქება პირველ არხზე“](#) (13 აგვისტოდან -13 სექტემბრის ჩათვლით). ასევე, მომზადდა მონიტორინგის მონაცემები შშმ პირების გაშუქების კუთხით, მასალა გადაეგზავნა მედიაგზამკვლევის შემუშავების ჯგუფს.

## **ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები**

### **ტექნიკური გადაიარაღება**

საქართველოს პირველი არხი აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. იცვლება ტრადიციული სანარმოო აღჭურვილობა მაღალტექნოლოგიური სისტემებით.

მაუწყებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების პროექტი საქართველოს პირველ არხს რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მედიასაშუალებად აქცევს.

პროექტის ფარგლებში დასრულდა ახალი ამბების სამსახურის მსოფლიოში აღიარებული ლიდერი ბრენდის AVID-ის სისტემით აღჭურვა. ახალი და მიმდინარე ამბების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ახალი სისტემა მოიცავს AVID-ის ე.წ. ქლაუდ ინტერფეისსაც, რომელიც უზრუნველყოფს ნიუსრუმის ინტეგრირებულ სანარმოო ციკლს დაგეგმარებიდან და საინფორმაციო გამოშვების ეთერში გასვლამდე.

2021 წლის მესამე კვარტალში გაგრძელდა 2018-2021 წლების ტექნიკური რეორგანიზაციის გეგმის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები, კერძოდ:

- გრძელდებოდა მაუნყებლობის ავტომატიზაციის და ინჟესტის აპარატურის და სისტემების ტექნიკური საშუალებების სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია.
- მაუნყებლობის და მედიის ხარისხის კონტროლის ჯგუფის სისტემების სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია.
- მაუნყებლობის ბადის დაგეგმარების/პროგრამირების დეპარტამენტის ტექნიკური საშუალებების და ტრაფიკის სისტემის დამატებითი კონფიგურაცია და სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია.
- ჩამოთვლილი სისტემების ინტეგრაციის და პროცესების საბოლოო კონფიგურაცია და ოპტიმიზაცია.
- შესაბამისი დეპარტამენტების, განყოფილებების, ჯგუფების თანამშრომლების სამუშაოს ეფექტურობის ოპტიმიზაცია.
- ჩამოთვლილი სააპარატოების, საეთეროების და სხვა სისტემების ცალ-ცალკე და ერთიანობაში მუშაობის კონტროლი და ოპტიმიზაცია.
- მესამე კვარტლის განმავლობაში ორივე სამაუნყებლო არხის ეთერში გაშუქდა დიდი მოცულობის სამი და რამდენიმე საშუალო სპორტული ტურნირი და ჩემპიონატი. კერძოდ ოლიმპიური თამაშები, ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, პაროლიმპიადა და სხვა. რამდენიმე კვირის ხანგრძლიობის ტურნირების განმავლობაში, ახალი საეთეროს ინტეგრაციის პირობებში, მოხდა ყველა სისტემის სრული დატვირთვით მუშაობა, კერძოდ უწყვეტი პირდაპირი ეთერის პროდაქშენი, მრავალ არხიანი ინჟესტი, პოსტპროდაქშენი და სხვა. ასევე საეთერო ბადეების დაგეგმარება, მაუნყებლობის ავტომატიზაცია, სარეკლამო სისტემებთან ინტეგრაცია.

აღსანიშნავია, უკლებლივ ყველა სისტემის და რგოლის გამართული და უხარვეზო მუშაობა.

- IT ქსელის მოდერნიზაციისა და უსაფრთხოების პროექტის ფარგლებში, გაგრძელდა აპარატურის და სისტემების დაზუსტებული კონფიგურაცია. ქსელური კომუტატორების (Core, Datacenter, Access), როუტერების, ფაირვოლების და შესაბამისი მარშრუტიზატორების, უსადენო წვდომის წერტილების ჩათვლით. გრძელდება სერვისების მიგრაცია ახალ ინფრასტრუქტურაზე.
- გაგრძელდა ახალი ამბებისა და პოლიტიკური გადაცემების ბლოკის ტექნიკური გადაიარაღების გეგმიური სამუშაოები. კერძოდ ჩატარდა ახალი სააპარატო-სტუდიური ბლოკის ტექნიკის მონტაჟის დასრულება, სისტემების კონფიგურაცია და დამონტაჟებული სისტემების ტესტირება.

- ჩატარდა ახალი ამბებისა და პოლიტიკური გადაცემების ბლოკის ტექნიკური გადაიარაღების პროექტით გათვალისწინებული ტრენინგები. ტრენინგი ჩატარდათ ახალი ამბებისა, IT და საინჟინრო პერსონალის ინჟინრებს, ადმინისტრატორებს, ინჟესტის მენეჯერებს, არქივარიუსებს, ჟურნალისტებს, პროდუსერებს, მემონტაჟეებს, ვებ მენეჯერებს, ვიდეო და აუდიო რეჟისორებს, ოპერატორებს, სუფლიორებს, ვიდეო და გრაფიკის ოპერატორებს და სხვებს.
- ჩატარდა ცენტრალური საკომუტაციო სააპარატოს კომუტატორის აფგრეიდი შესაბამისი ტენდერის ფარგლებში.
- ჩატარდა ცენტრალური ინტერკომის სისტემების აფგრეიდი შესაბამისი ტენდერის ფარგლებში.
- ჩატარდა სტუდიური სიგნალების ოპტიკური ტრანსპორტის სისტემების მონტაჟი შესაბამისი ტენდერის ფარგლებში.
- ჩატარდა ახალი ამბებისა, პირველი, მესამე და C სტუდიების საწარმოო მიქშირების სისტემების აფგრეიდი შესაბამისი ტენდერის ფარგლებში.
- 2021 წლის 3 კვარტალში ჩატარდა მინი მსს-თვის (მოძრავი სატელევიზიო სადგურის) საჭირო ტექნიკური აპარატურის სახელმწიფო ელექტრონული ტენდერით მოწოდებული აპარატურის მონტაჟი, ტესტირება, კონფიგურაცია და წარმოებაში გაშვება.
- ჩატარდა განათების აპარატურის და აუდიო ტექნიკის ტენდერებით გათვალისწინებული აპარატურის მონტაჟი, ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება.
- ჩატარდასხვადასხვასამუშაოებირადიოს,ფილმებისგახმოვანების,ციფრული სატელევიზიო და სატელიტური გავრცელების პლატფორმების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიმართულებით:
  - ✓ სატელიტური მილების სააპარატოში ჩატარდა მოძველებული ტექნიკური საშუალებების ჩანაცვლება ახლად შეძენილი თანამედროვე კომპონენტებით, რამაც საგრძნობლად აწია საერთაშორისო ღონისძიებებიდან მოწოდებული პირდაპირი ჩართვის სიგნალების მილების ხარისხი და საიმედოობა. სამუშაოები ჩატარდა წინსწრებით, ტოკიოს ოლიმპიადის და პარალიმპიადის ტრანსლირების მილების საიმედოობის გასაუჯობესებლად.
  - ✓ რადიო და ტელემაუწყებლობის გავრცელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ ჩატარდა „ტელერადიოცენტრის“ საიტებით გადაცემული სიგნალების საკონტროლო გაზომვები თბილისი ბათუმის მიმართულებაზე. გაზომვის შედეგები უმთავრესად დამაკმაყოფილებელია. მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე ჩრდილოვანი ზონის დაფარვის გაუმჯობესების გეგმაზე.

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

## 1. ხელშეკრულებების შესახებ

2021 წლის მე-3 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 193 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## 2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

### 2.1

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2021 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	<b>ფ/პ ვკატერინე მაჭავარიანი</b>	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხარეთა საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველი.</p> <p>დავა დასრულებულია</p>
2.	<b>საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო</b>	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.</p>
3.	<b>ფ/პ ავთანდილ ძიძიგური</b>	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
4.	<b>შპს “სტუდია ფონოგრაფი“</b>	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალაება ტენდერთან დაკავშირებით	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>

5.	<b>ალექსანდრე ჯანდიერი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - აღ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
6.	<b>ალექსანდრე ჟღენტი</b>	საავტორო უფლებების აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში - მოსარჩელის გარდაცვალების გამო, სასამართლოს განჩინებით ერთი წლის ვადით შეჩერდა საქმის წარმოება, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა კერძო საჩივრით, რითაც საავტორო უფლებების აღიარების ნაწილში მოთხოვნილი იქნა საქმის წარმოების შეწყვეტა, ამ ნაწილში უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო.
7.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 <sup>1</sup> მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დამტრიხული სახით). - იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საია-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით
8.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
9.	<b>ალექსანდრე ხოჯავა</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე და საზოგადოებრივ მაუწყებელს აღ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.  _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით, აღ. ხოჯავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.

10.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
11.	<b>ანა ტურაბელიძე</b>	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.
12.	<b>დონარა შონავა</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.
13.	<b>შპს "მკს"</b>	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 20 123,24 ლარის დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრდა მხარეების მიერ აპელაციის წესით.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა შპს "მკს"-ის სააპელაციო საჩივარი. ამასთან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მაუწყებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1 435,82 ლარის გადახდა.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულია კასაციის წესით</p>
14.	<b>გიორგი სუხიტაშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
15.	<b>მარიამ სონიშვილი</b>	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16.	<b>დადი ბარაბაძე</b>	ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
